კვირა 31 იანვარი. ფასი 10 კაპ.

მათრახი

№ 5. — სალამური
ყოველ-კვირეული იუმორ. ჟურნალი.



ლითოგრაფია ს. ზიხოვისა.

გ უ ლ კ ე თ ი ლ ო ბ ა,

პატარა ქალი. დედილო, ვინ არის ეგ კეთილი ძია?

მგლოვიარე დედა. ეგ, შვილო, ტრამვაის დირექტორია. შეხედე რა ძვირფასი გვირგვინით გაამბედნიერა ჩვენი ოჯახი!!!

ეშმაკის ინტერვიუ.

ქუთათურ ინტელიგენტთან.

— თქვენ, ბ-ნო ეშმაკო, საშიში ვინმე ხართ.

— ვითომ და რათაო?

— რათა და იმიტომ, რომ გამოგვტყოვთ რასმე, გამოაბამთ კუდს და უცებ გაზეთში უკრავთ თავს.

— განა ამით რა დაშავდება?

— არაფერი, მაგრამ ხომ იცით, ყველას არ ესიამოვნება თავისი აზრის საჯაროთ გამოცხადება. „კაცია და გუნებაო,“ ტყვილათ კი არ ამბობს ანდაზა.

— თქვენ აზრისა კი არა, სწორეთ წინააღმდეგი გამოაშკარავება გეთაკილებათ მგონია.

— ჩემი აზრით, ქუთათური ინტელიგენციის დასასურათებლათ სრულიად საჭირო არ არის ვისიმე კერძო პიროვნება აიღო. აქ ერთი უსახელო არსია საჭირო.

— განა ინდივიდუალური განდრეკილება ამ არსთა შორის აღარ არსებობს?

— იცი რა გიპასუხოთ ამაზე? მართალია განვლილმა მოძრაობამ ორასი საუკუნით უკან დასწია ჩვენი ხალხის ცხოვრება, მაგრამ ერთი სიკეთე კი თვალსაჩინო მოგვიტანა...

— რა არის ნეტავი ეს თვალსაჩინო სიკეთე?

— მოგახსენებ, მოგახსენებ. მან მოსპო ჩვენში ეს დაწყევლილი პარტიობა. უწინ რომ თხასა და მგელსავით უყურებდენ ერთმანეთს, დღეს გეიხედავ და რას დაინახავს თქვენი თვალები...

— ალბათ დღეს კატასა და ძაღლსავით არიან!..

— არა, სრულიადაც არა: ძაღლსა და კატასავით კი არა, ერთმანეთს თვალში რო ჩაუვარდენ ხელს არ ამოისვამენ.

— მართლა ამბობ, თუ ხუმრობ, კაცო?

— სადაური ხუმრობაა. ღვთის წინაშე ამ საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის იდგილობრივ პრესასაც.

— ქუთათურ პრესას?

— დიახ ქუთათურს დღეს ყველა ჩვენებური ინტელიგენტი ე. ი. ყველა მოაზრე ინდივიდუუმი ქართველთა ტომისა, საერთო ნიადაგის ძებნაშია და წარმოიდგინეთ რამდენათ წავდგით ამ მხრივ ნაბიჯი წინ.

— განა ბევრი „საერთო ნიადაგი“ აღმოჩნდა ცხოვარებსა და მგელთა შორის?

— გასაოცარი, განსაცვიფრებელი! თუ ქუთათურმა, მაგალითად, ისეთი ქუდი დაგინახა თავზე, როგორსაც თითონ იხურავს; ისეთი გალსტუკი, როგორსაც თითონ იკეთებს; ისეთი ფეხსაცმელი, როგორსაც თითონ იცვამს, ეს აშკარა საბუთია იმისი, რომ თქვენ შორის დიდი, ძლიერ დიდი „საერთო ნიადაგი“ ყოფილა.

— ნუ თუ მარტო ეს კმარა? ფეხსაცმელი მესმის, მაგრამ გალსტუკი რაღა შუაშია?.. ის ხომ შიადაგიდან ეგზომ მოშორებულია?

— რასაკვირველია კმარა. ხომ გაგიგონია: „როცა არ იყოს, ცოტა კმარიყოსო.“ თუ მეტი არაფერი არ აღმოჩნდება, მაშინ ესეც იკმარებს.

— კი მაგრამ...

— რაღა მაგრამ, ჩანს საკმარისი ყოფილა თუ კი ასეთი თანხაობით მუშაობენ გუშინდელი მტრები. თფილისი ამ მხრით ერთობ ჩამორჩა ცხოვრებას. მართლაც, დრო არის დავფიქრდეთ ჩვენს აწმყოზე და შევეცადოთ იმ უფსკრულზე ხიდის გადებას, რომელსაც ეგრე უგუნურათ აღრმავებდენ მოუმწიფებელი ჭაბუკები.

— უკაცრავად ბრძანდებით! ასეთი ხიდის შესახებ თფილისის პრესაშიაც გადაისროლეს ნაპერწკალი და თუ მას ჯერ-ჯერობით გრანდიოზული შენობა არ მოჰყოლია, ეს გარემოებას მიეწერება და არა სურვილის უქონლობას.

— სურვილი და სიტყვა საქმეს ვერ შეეწონება. ქუთათური ინტელიგენცია თავისს სიტყვას საქმით ასაბუთებს და ჩვენ უკვე მზათა გვაქვს ორი ასეთი ხიდი.

— როგორი ხიდი?

— ისეთი ხიდი, რომელზედაც ყველას შეუძლია სიარული და რომელიც მძლავრათ გადატყორცნილია უფსკრულის სიღრმეზე.

— ეს რომელი ხიდებია?

— ეს გახლავს „ფონი“ და „ქინკა“! აქ ყველას შეუძლია სიარული და თავისი წვლილის შეტანა.

— კარგი მაგრამ, როგორ მოაწყვეთ ისა, რომ საერთო მოქმედების დროს უთანხმოება არ მოგდით?

— სრულიად უბრალოთ. ჩვენ ვირჩევთ ისეთ ნიადაგებს, რომელიც საერთოა ყველასათვის და ამასთანავე საწყენი არავისთვის

— ერთი სიტყვით თქვენ გაგიშლიათ ფრთები და „ვიწრო“ პარტიული სფერიდან სამყაროს სივრცეში გადმოფრენილხართ. არა?

— ოოოჰ, გიკურთხა ღმერთმა ენა! სწორეთ რომ გამოვშორდით ვიწრო პარტიულ ქეჩხოებს. ჩვენი საქმე აშკარაა, სახე კი საერთო ქუთათური ინტელიგენტი მისაბაძი მაგალითი გახდა სხვა ქვეყნის ქართველებისათვის.

— კი, მაგრამ თქვენი ხიდეები რო ისეთი გამოდგეს, როგორიც კრილოვის იგავშია აწერილი და ვინმე მატყუარას ჩაუტყდეს?

— როგორ თუ ჩაუტყდეს? რათ უნდა ჩაუტყდეს?

— იმიტომ, რომ თუ წინეთ ჩხუბობდენ ხომ ან ერთი, ან მეორე სტყუოდა და ის ხიდი მტყუანს ვერ იჭერს თურმე. მაშინათვე ჩაუტყდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რას ამბობ კაცო?

— რას ვამბობ და სიმართლეს.

— მერე ვის ჩაუტყდება?

— ვისა და ვინც სტყუის.

ჩემი მოსაუბრე, კრილოვის გმირისა არ იყოს, ცოტა შეკრთა. ხუმრობა ხომ არ არის ქუთათური ინტელიგენტის ალტაცების ხანაში ,,საერთო ნიადაგზე'' ეჭვის შეტანა?! მე შევნიშნე მისი შეშფოთება და დავამშვიდე:

— არა კაცო, გეხუმრე. ვინ გაიგონა ისეთი მტკიცე ხიდის ჩატეხა და ისეთი ,,საერთო ნიადაგის'' შერყევა, რომელიც ასე მძლეთა-მძლეთ იჭერს და იმყარებს ყველა მსურველს!

— მე კი ჩემი დამემართა და! წელანაც აკი გითხარი რაღაცას გამომტყოვ და საგაზეთოდ გამიხდი მეთქი. ახლა ჩემს სიმხდალეს ალბათ მთელს ჯოჯოხეთს მოჰფენ.

— ნურც მაგისი შიში გაქვს. ჯერ ერთი ,,ჩხიკვს რა ჰქონდა ყვავს აძლევდესო'', ქუთათურ ინტელიგენტს რა უნდა გამოსტყუოს კაცმა. მეორეთ ჯოჯოხეთის მკითხველებმა კარგა ხანია იციან საზოგადოთ ინტელიგენტების მამაცობა და კერძოთ ქუთათურებისა; მესამეთ და უკანასკნელათ თქვენ ხომ არც საკუთარი აზრი გაქვთ, არც ,,კერძო ინდივიდუალური განსახივრება'' მაშ ჯოჯოხეთის მკითხველები თქვენ ხომ ვერ ამოგიღებენ მხედველობაში და ,,საერთო ნიადაგზე'' ბევრი თქვენისთანა ბოგინობს. მშვიდობით!

— ? ?

ეშმაკი.

ყ ვ ა ვ ი ლ ე ბ ი.

დილის ბინდ-ბუნდზე ტურფად გაშლილა
ბალის სიცოცხლე, ბალის მშვენება,
მზე სხივებს აფრქვევს,
ნიავი არხევს
ბულბული უსტვენს, ეშხითა ბნდება
ნაზი პეპელა თავს დაფარფატებს,
ხან ჩაუქროლებს, ხან მასთან ჯდება.
ოქროს ფერ ფერფლებს,
მის ნაყოფ თესლებს
სხვა ვარდს მიუტანს... შუამავლად ხდება.
აგერ ზამბახი სურნელსა აბნევს
იგიც ნიშნს უგებს ნაცნობ ყვავილებს,
გვერდით კი ია
ნაზი, გულ-ღია,
ტუჩ-გაპობილი შესცინის სხივებს,
მაგრამ ვაჰ, მწარედ დასტვინა ქარმა!
მიქლიტ-მოქლიტა, გაატიალა
მათი ფოთლები,
ბედშავ-ობლები
ულვთოთ ჰაერში დაატრიალა.
შემდეგ ულმობლათ დაუშვა პირქვე,
ჭაობში მისცა ბინა ტანჯულებს
და თვით გლოვის ზარს
გულისა შემზარს
მარად უმღერის ლაფში დაფლულებს.

ჰოი ფოთოლნო, ობოლ ოხერნო!
მოგტირით თქვენა დამჭკნარნო უდროთ,
რომ უსამართლოდ მოგწყვიტეს მშობელთ,
დაგასამარეს ბედ-შავნო ულვთოთ,
რომელთაც ბრძოლის არ შეგწევთ ძალა,
უიარაღოთ გშობათ ბუნებამ
წამს შეუძლია მოგსპოთ, გაგაქროთ
სულ უმნიშვნელო უბედურებამ.
მაგრამ მძაგს კაცი, სავსე ძალ ღონით,
ტანჯონ, აწამონ არ შებრალება
რომელიც თვის ხვედრს დამონებია,
ვერ გაუბედავს მტრის შებრძოლება.

ნ. ჩხიკვ ძე.

***

მე შენს საფლავში მიწას ვერ ჩავყრი,
ვერ გაგიმეტებ დასამარხავათ..
ვერ დავანებებ შენს თავს, ძვირფასო,
სამარის ჯურღმულს მაცქერალს შავათ..
თუმც შენ მკვდარი ხარ, სარეცელს **მწოლი,**
სამარეთ ექ ც ჩემს წმიდა გრძნობას,
მარა მე მაინც ხელს ვერ შევუწყობ
შენს დამიწებას, ქვესკნელს გაქრობას...
მინდა თავს ვადგე შენს წმიდა სახეს,
მინდა ვილოცო, ვით იმ დროს ნეტარს,
როდესაც დამთვრალს ბედნიერებით
მელიმებოდი, მაწვდიდი ნექტარს..
ვიგონებ იმ წუთს... ვივიწყებ აწმყოს
და კვლავ ელოცულობ მე მუხლ **მოყრილი...**
ვერას დააკლებს ღვთაებრივ გრძნობას
ბნელი სამარე, შავი სიკვდილი...
ვილოცავ ასე, მხურვალეთ, გრძნობით,
ლოყას დამიწვავს ცხარე ცრემლები,
შენს წმიდა ხსოვნას გულს გავუტახტებ
მის წინ დავიწვი, ვესაკმევლები...
ვინ იცის... იქნებ ლოცვამაც გასჭრას,
მკვდრეთით აღმიდგე, მომეხალისო
და, როგორც მაშინ, დაუვიწყარო,
გული ტანჯული შვებით ამივსო,—
შენებრ მეკვეთო, მკერდში ჩამეკრა
ჩემს გულის ფეთქას შენიც შემატო,
არ მომიძულო, შენი მგოსანი,
აღარ დამტოვო ბედკრული მარტო...
ეხლა კი ეხლა.. მიწას ვერ გაყრი,
ჩემო ძვირფასო, დასამარხავათ,
ვერ დავანებებ შენს თავს, სულის დგმავ,
სამარის ჯურღმულს მაცქერალს შავათ...

ვ. მალაქი-შვილი.

დაწყევლილი წრე.

ხალხმა წერა-კითხვა არ იცის და ვერ წაუკითხავს, რომ არაყი საშიშარი საწამლავია.

ამისთვის საჭიროა სკოლებისა და მასწავლებლების გაათასება.

მაშინ ხალხი ზიზღით შეხედავს და ზურგს შეაქცევს არაყს

მაგრამ სკოლებისა და მასწავლებელთათვის საჭიროა ფული ე. ი. არაყის გაყიდვა.

მარიამ დემურიასი.

21 იანვარს, სრულიად მოულოდნელათ, გარდაიცვალა ჩვენს საზოგადოებაში კარგათ ცნობილი მოღვაწე ქალი მარიამ ივანეს-ასული დემურიასი.

მოულოდნელი იყო ეს სიკვდილი ყველასათვის, ვინც კი იცნობდა მარიამ დემურიას დაუცხრომელ ენერგიას, თითქმის ახალგ ზრდულ გატაცებას საზოგადო საქმეში. ამ ბოლო ხანებში მის უმთავრეს სამოქმედო ასპარეზს საბავშვო ჟურნალი ,,ნაკადული'' შეადგენდა, რომლის რედაქტორათაც ითვლებოდა. გარდა ამისა მარიამ დემურია მონაწილეობას იღებდა თითქმის ყოველგვარ საზოგადო დაწესებულებაში, სადაც კი მისი დახმარება იყო საჭირო. ბევრი შრომა მიუძღვის აგრეთვე სახალხო წარმოდგენების მოწყობა-მოწესრიგების საქმეებში, სადაც ამ უკანასკნელ ხანამდე მუშებთან თანხმობით მოქმედებდა.

კვირას, 24 იანვარს, მიწას მიაბარეს მარიამ დემურიას გვამი. მიუხედავათ ცივი და ნოტიო ამინდისა გამოსვენებას დიდ-ძალი საზოგ დოება დაესწრო. მიცვალებულის კუბოს ამკობდა მრავალი გვირგვინები ცოცხალი ყვავილებისა. წარმოითქვა რამოდენიმე მხურვალე და გრძნობიერი სიტყვა, რომლებშიაც გამოითქვა მწუხარება მისი მოღვაწეობისა და დაუღალავი ენერგიის ასე უდროოთ დაკარგვის გამო.

ზამთრის ღამე.

სევდის მგვრელი ქარიშხალი
დაჰქვითინებს ულრან ტყესა.
ხან მოისმის მისი გმინვა,
და ხან მწარე ამოკვნესა.

ტყე, ჯაგნარი გაფაფრულა,
მთის ნაკადი მოჰყვა კივილს,
თითქოს მშობლურ ტანჯვისაგან
ის განიცდის მწვავე ტკივილს.

არა... ზამთრის ჯადო-ყინვა
ტანზე უჭერს რკინის მარწუხს,
მიტომ არის, საცოდავი,
რომ ხმამაღლა ჰკივის და სწუხს.
შორს...შორს... სადღაც ზღვა ქოთქოთებს,
თითქოს სცემენ ბარაბანსა:
ბნელში დაძრწის ღამის ჯადო
და დასძახის მქუხარ ბანსა.

ჩუ! ეს რაა? ბარაბანზე
თითქოს ტყავი ჩაიფლითა?
არა, ეს თვით დემონია!
აცეკვდა და ჩაჰხითხითა:

,,დიპლიპიტო, ტაში! ტაში!..
ეს ქვეყანა ჩემიაო,
ღვთისაგან მოძულებული
და ნაანათემიაო.

დავტორავ და ავალაფებ...
გავლობ-გავკრავ ყველგან გზასო:
კონტრაბანდას, დაუჭერელს
არ გაუშვებ არა რასო!

დიპლიპიტო, ტაში! ტაში!
დიელი დალალიანეო...
ზამთარო, შენ გენაცვალე,
იხშირ ბნელ ღამიანეო!..''

ბნელა... მძაფრი ქარიშხალი
დაჰქვითინებს ულრან ტყესა:
ხან მოისმის მისი გმინვა,
და ხან მწარე ამოკვნესა.

ცაზე აღარც ვარსკვლავები!..
აღარც მთვარის ბაცრი შუქი...
და ქვეშ მიწას, ხმა ჩაკმენდილს,
ზურგს უმშვენებს ცივი ქურქი...

ნ. ზომლეთელი.

დეპეშები.

ხაშური. ძველ წელთან ერთათ ისტორიას ჩაბარდა ძველი,—მთავრობის მამასახლისიც, რამაც ძალიან დაამწუხრა აქაური ხულიგანები... ადმინისტრატიული წესით გადასახლებულ ლოთებს პირველ იანვრიდან ნება დართული აქვთ სამშობლოში დაბრუნდენ და მშვიდობიან ცხოვრებას შეუდგენ...

სოფ. ოფეთი. მამა სიმონმა გახსნა ,,საზამთრო'' სკოლა.

აბაშა. (გურია) ჯერ კიდევ ვერ გაიგეს რა იქნა ის 120 ქანქარი, რომელიც სამკითხველოსათვის მოაგროვეს. გადაწყვეტილია ,,შენც სუ, მეც სუ''.

აბაშის საზოგადოებამ რო საფრენი ნავების მოგონება გაიგო, სასოფლო გზების შეკეთებას თავი მიანება.

თელავი. გიმნაზიის საქმე ჩინებულათ მიდიოდა, განზრახული იყო პირველ იანვარს გაეხსნათ. მაგრამ რადგანაც მოსალოდნელია კუდიანი ვარსკვლავის ჩამოვარდნა, ამიტომ გადასდვეს. როგორაც კი კომეტა ჩამოვარდება, მეორე დღეს გიმნაზიაც გაიხსნება.

თელავი. ამ წინაზე ნერსესას დუქანში დასდგეს ახალი პიესა ,,ლოთობა‘‘. წარმოდგენამ მწყობრათ ჩაიარა, თუ ბოლო მოქმედების ხანჯლობანას არ მივიღებთ მხედველობაში.

აქვე, მშრალს რიყეზე, აკეთებენ დაკიდულ ხიდს. როგორც ამბობენ ხიდი დანიშნულია ჰაეროპლანების სავლელათ.

ტრფიალი.

(ეძღვ. ზოგიერთ დეთიფეთ ჩუქტებს და მიდგ. წევრებს)

მიყვარს ჰანგი ტკბილ დუდუკის,
წინაპრული .. მშობლიური;
და კოჯორის გრილი სიო,
როს ღვინით ვარ შენახური.

—

ქართლისა შვილს, მსურს ვიცავდე
მამა პაპათ ადათ წესსა,
ლაღ მოლხენას, ალმაფრენას
„ედემსა» და «სამოთხესა“.

—

ან კი მეტი რა შეგვრჩება?!
ლხინში ვლიოთ ძმებო დღენი;
შენც დუდუკო, გაგვაგონე,
ეგ ლილინი, შვების მფენი!

—

მაშ, ჰე, ყრმანო! შემოვძახოთ,
ჰიქას ჰიქა შევახალოთ
და სამშობლოს სადღეგრძელოთ
ყანწი, ყანწზე გამოვცალოთ!

ტრიფო.

ტელეფონი.

—

— ძინ, ძინ, ძინ, ძინ!

— ძინ. ძინ. ძინ.

— ვინ არის ტელეფონთან?... ცენტრალნაია... გთხოვთ ქალაქის სამმართველოს შემაერთოთ... ა?.. დიახ... ქალაქის სამმართველოსთან .. დიახ, დიახ! გმადლობთ!

— ძინ. ძინ, ძინ! დარჩო?... ა? როგორ თუ ვინ?... დარჩო?.. სწორეთ ვერ გამიგია... მე მოგახსენებთ დარჩოს შესახებ... როგორ თუ დაახრჩვეს... ეგ შეუძლებელია... მე სულაც არ მიკითხავს .. აქ რაღაც გაუგებრობაა... ვინ რას ერჩოდა საწყალს .. ნუ თუ?.. რომელმა სასამართლომ?.. თქვენ უთუოდ მატყუებთ... გასაჯავრებელი რაა... უდანაშაულო კაცი რისთვის უნდა დაეხრჩოთ? . რის ფოსტა, რას ამბობთ, ის ხომ უპრავის მოსამსახურეა... მგონია თქვენ შემცდარი ბრძანდებით... ვინ როტმისტრია?.. ჩვენ ერთმანეთის არარაფერი გვესმის... განა საიდან მელაპარაკებით?.. როგორ?.. ჟანდარმთა სამმართველო?!! რასა ბრძანებთ, მაშ უკაცრავათ ვყოფილვარ... მშვიდობით.

— ძინ. ძინ. ძინ. ძინ...

— ძინ ძინ. ძინ.

– ვინ არის?.. ცენტრალნია? . შემაერთეთ ქალაქის სამმართველოსთან, ქალაქის. ძინ. ძინ! საიდან მელაპარაკებით?.. აჰა! დარჩო ხარ?.. ვინ არის დაკლული კაცო?.. დარჩო, დარჩო... ბევრი კი არა ერთი დარჩო... ჯერ არ წაუღიათ?.. ეს როგორ შეიძლება... ღმერთო ჩემო... ვინ რას ერჩოდა საწყალს... სადაური წყალია... მტკვარი .. მკვდარი?.. აქ რაღაც შეცდომაა... თქვენ საიდან მელაპარაკებით?.. ქალაქის სასაკლაო?.. ოი დასწყევლოს ღმერთმა! უკაცრავათ... მშვიდობით.

— ძინ. ძინ. ძინ...

— ძინ. ძინ!..

— ვინ არის?.. ცენტრალნაია... ძალიან კარგი.. როგორ ვერ მიგახვედინეთ, რომ მე ქა-ლა-ქის სა-მართვე-ლო მინდა... გაიგეთ?... მზათაა... გმადლობთ... ძინ ძინ .. ძინ.. დარჩოა მაქა?..' ა?... რაო?... არარავინ დარჩენილა?.. რა მოხდა, რა ამბავია?... ყველა დაასაფლავეთ!.. ვინ ყველა... რას ამბობ კაცო, მთელი უპრავა?... როგორ თუ რომელი უპრავა!.. მაშ მე ვისთან მაქვს ბედნიერება*) მუსაიფისა?.. დიახ საინტერესოა ვიცოდე თქვენ საიდან მელაპარაკებით .. არა, ტელეფონის აპარატიდან როა, ეს მეც კარგათ ვიცი... მაშ ის მინდა გავიგო, თუ რომელ დაწესებულებიდან... არა მოწყალეო ხელმწიფევ, ვიცი რომ ეს ფოსტა-ტელეგრაფის უწყებაა, მე მინდა გავიგო თქვენ სადა სდგეხართ... აპარატთან? ეს არ მინდა... სამსახური დიახ... ქალაქის სასაფლაო? ნუ თუ? უკაცრავათ მე ქალაქის სამმართველო მეგონა. . უკაცრავათ შეწუხებისათვის .. მშვიდობით.-ძინ.. ძინ...

ესეც შენი ტელეფონი! განა ამას ის არა სჯობდა, თუნდაც დამეძლია დამტვრევის შიში და ტრამვაით თითონ მივსულიყავი ქალაქის სამმართველოში?..

დიახაც?!

ეშმაკი.

---

*) წარმოიდგინეთ სოფლელებო, ქალაქში ამაგვარ მუსაიფსაც ბედნიერებათ სთვლიან, იმ ზომ თავაზიანი და ზრდილი ხალხი ასხია მას.

ეშმაკი.

ეშმაკის კალენდარი

თებერვალი.

თებერვალი კარებზე მოგვადგა. მიუხედავათ ამისა ჯერაც გაზაფხულია. მოსალოდნელია ტაროსი არ შეიცვალოს და ეს მით უმეტეს თუ ბოლომდე ეგრე გასტანა.

მაშ გადავსტყორცნოთ ჩვენი თვალთა ხედვის ისარი თებერვლის სივრცეზე და შევეცადოთ ამოკითხვას იმისას, რასაც ეს მომავალი თვე გვიბედებს.

მსოფლიო ცხოვრება. ყველაფერი მწყობრათ და ლაღათ დასცურავს მის ულეველსა და დაუსრულებელ სივრცეში. მას შეემატება რამოდენიმე ახალი წევრი,—გალლეის კომეტა და ქუთათური უპარტიო ინტელიგენტები, (რომელთაც ევიწროვეათ არა თუ რომელიმე პარტია, არამედ დედა-მიწაც და თვით ჩვენი მზის სისტემაც-კი) ისინი კუდიან ვარსკვლავთან ერთათ დაიწყებენ ნავარდს მსოფლიოს უფსკრულში და სადარდელათ მხოლოდ ის ექნებათ, რომ განგებამ მათაც კუდი არ გამოაბა.

საერთაშორისო ცხოვრება. ჩვენი ბრწყინვალე „მამულიშვილების“ მიხედულებით, ოსმალოები ბერძნებს მიჰყიდიან სადაო კუნძულ კრიტეს.

ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატები მანჯურიის ხელსა სთხოვენ ჩინეთის იმპერატორს, მაგრამ უარს მიიღებენ, ვინაიდან მანჯურიისათვის უკვე ჰყავს ჩინეთს ორი საქმრო: იაპონია და რუსეთი.

მოსალოდნელია ბოსნია გერცოგოვინას მოტაცები შემდეგ, რუსეთი დაუმეგობრდეს სლავიანთა მოდგმის ახალ სიძეს,—ავსტრიას. ამის შესახებ მაჰანკლებს (იგულისხმე დიპლომატები) უკვე მოლაპარაკება აქვთ.

შეიძლება თებერვლის შვა რიცხვებში გერმანიის იმპერატორს მოულოდნელათ დააცხინკვოს. ამის გამო რუსის „პატრიოტები“ პირჯვარს გადაიწერენ; ინგლისის ლორდები სამხედრო გემების შენებას შეუდგებიან; საფრანგეთი ქარტაზე ფათურს დაიწყებს; ავსტრია „ღვთის წყალობას“ უსურვებს.

სპარსეთის საზღვრებს გადმოლახავს და სამშვიდობოში (იგულისხმე რუსეთი) გადმოვა 4267 სპარსელი ხულიგანი.

რუსეთის ცხოვრება. სხდომის დროს, დუმის თავმჯდომარეს დაესიზმრება პრემიერ მინისტრის გადადგომა და თითონაც გადადგომას განიზრახავს.

ცნობილი დუბროვინი ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორობას ითხოვს.

ოდესის უნივერსიტეტის „პროფესორები“ პროტესტს გამოუცხადებენ ოსმალეთის მთავრობას აბდულ გამიდის დატყვევებისათვის.

გურიის ყოფილი გენერალ-გუბერნატორი ტოლმაჩევი ახალ საარჩევნო კანონს გამოსცემს ქ. ოდესისათვის.

მთავრობა რევიზიას დაუნიშნავს უცხოეთის ყველა ბანკებს, რომ აღმოაჩინონ ინტენდანტების მიერ შენახული ფულები.

უმაღლეს სასწავლებლებში გაიხსნება ცალკე ფაკულტეტი «საპოლიციო მეცნიერებისა» სადაც მოამზადებენ უნივერსიტეტებისათვის ს[illegible] ხოქაულებს.

საქართველოს ცხოვრება. ბათუმის ქალაქის თავი სამძიმრის დეპეშას გაუგზავნის საფრანგეთის პრეზიდენტს, პარიზის წარღვნის გამო, თუმცა ყოველი წვიმის დროს ბათუმის ზოგიერთა ქუჩები სანაოსნო მდინარეს ემსგავსებიან ხოლმე.

ფოთის გალავა პეტერბურგს წავა ახალი ვალის ასაღებათ, რადგან ცოტაა, თუმცა მილიონია, მაგრამ მაინც კვიმატი რიცხვია და ბარემ ხუთმეტათ გახდის.

ოზურგეთის რეალურ სასწავლებელს უნივერსიტეტათ გადააკეთებენ და პროფესორათ ბ ნ გორგასლიძეს მიიწვევენ.

ქუთაისის ქალაქის გამგეობა დაადგენს ქალაქისათვის სასმელი წყალი ნატანებიდან (გურია) გამოიყვანოს და რადგანაც ეს დაბლიდან მაღლა მოდის, ინჟინერათ მოიწვევს ბ-ნ „მაზრელს“.

ქუთაისიდან ხონამდე და ხონიდან სამტრედიამდე ტრამვაის გაყვანას მიანდობენ ბ-ნ ბატაილს, როგორც დახელოვნებულსა და მცოდნე ადმინისტრატორს,

თფილისის თვითმართველობის იუბილეზე დასასწრებლათ ბათუმიდან ჩამოვლენ მალიარიის ბაცილები ბ ნი ჟურულის თავმჯდომარეობით, ხოლო ფოთიდან მომღერალ ბაყაყთა ხორო იონა მეუნარგიას თავმჯდომარეობით.

ექსკურსიები. მოგზაურობა ერთი უმთავრესი საშვალებაა განვითარებისა. თფილის ქართულ საქალაქო სკოლების მასწავლებლებს განზრახვა აქვთ ექსკურსია მოაწყონ „დედა-ენაში“ სამოგზაუროთ.

თფილისის სათავად-აზნაურო გიმნაზიის მასწავლებლებს ბ ნი მზრუნველი ნებას დართავს რიგრიგობით იმოგზაურონ ქალაქის ქუჩებში მეთუთუნეობის შესასწავლათ.

თფილისის ქალაქის გამგეობა ექსპედიციას შეადგენს „წყნეთის პროსპექტზე“ (ვაკე) ტლაპოების გამოსაკვლევათ.

ადგილობრივი ადმინისტრაცია განიზრახავს ზოგიერთი რედაქციების შესწავლას. ნეტავი იმ რედაქციას!

ცნობილი არტ. იმედაშვილი-ხაშმელი საგასტროლოთ ჩამოივლის გარე კახეთის უმთავრესს ქალაქებს

ტეხნიკის განვითარება. ინჟენერი ქანანოვი მოიგონებს ტორმუზს, რომლითაც შესაძლებელი გახდება ტრამვაის დირექტორის უზომო მოთხოვნილებათა შეჩერება.

ფოსტა ტელეგრაფის ადმინისტრაცია ისეთ სწრაფ ავტომობილებს შეიძენს, რომელთა საშვალებით ადგილობრივ კორესპოდენციას ერთ კვირაზე ადრე მიიღებ, თუ კი გზაში არ დაიკარგა.

„თფილისის ფურცლის“ რედაქცია გამოიწერს ისეთ სასტამბო მანქანას, რომელიც თითონ დასწერს დაააწყობს მეთაურ წერილებს გაზეთისათვის. მანქანა უსულო და უპარტიო იქნება.

ერთი იმერელი ხუცესი, (უეჭველია ზეშთაგონებით), მოიგონებს ახალ ლოცვა-მიმართვას „პრისტაო ჩვენოს“, რომლის საშვალებით ყოვლად უხიფათოდ მოიკრიბება დრამა-ფული.

ეშმაკი.

მესტვირული.

(ბაქო-ბადახანისათვის)

მომბეზრდა მკვდრული სიჩუმე,
მეტყველსა უმეტყველობა,
ვერ ეძლებს გული ჭირ-ვარამს,
ლამის დაეტყოს ხელობა.
სიფლიდე, გაუტანლობა,
ჭირათ სჩვევია ყველასა,
დღეს მეგობრულად რომ გკოცნის,
ხვალ მოგიწამლავს სმენასა.
სად ძალმიძს სრულად აღვნიშნო
ქვეყნისა უსამართლობა?
შური და მტრობა, სილაჩრე,
ღალატი, გაუმაძღრობა?!!
მსურს გესლიანი სიტყვებით
ბოროტსა მწარედ უკბინო,
რომ მტერსა მოხვდეს ფინდიხი,
გველივით ავასისინო.
მაგრამ დღეს სხვა მაქვს მიზანი,
არც მცირე, არც თუ ძნელია,
მსურს ბაქოს მივეხმატკბილო,
ვცდი, თუ კი შევიძელია.

—

ქართული საქმიანობა,
(ეშმაკსაც მოეხსენება)
მხოლოდ ლამაზი სიტყვაა,
ზოგს საქმედ მოეჩვენება
ბალახანაში დაარსდა
,,სცენის მოყვარეთ'' ჯგუფია,
(ალბათ თქვენც გაგეგონებათ,
იგი ,,ღალღასაც'' უქია,)
მაგრამ დღეს იმას ვეძიებთ ..
(ზოგმა სულ თავი იტეხა,)
არ ვიცით: ჩანთქა უფსკრულმა,
თუ კლდეზე გადაიჩეხა,
ნეტავი მკვდარი გვენახა,
ცოცხალს კი აღარ ვჩიოდით.
არ გვყავდა, მაგრამ მაშინაც
იოლათ გამოვდიოდით.

—

ჩვენ მარგალიტიც ვიხილეთ,
ხელის გულს საგოგმანები,
სახელათ ჰქვია ,,მარცვალი''
(რომ დაითესოს ყანები)
ალექსანდრეა მთესველი...
(ოჰ ,,ბედნიერო'' თაობავ,
სიტყვავ და საქმევ საგმიროვ!
სიმტკიცევ გამბედაობავ!..)
ყველაფერს ითმენს ქალღდი...
აქ მასაც ფერი წასვლია,
რომ ,,მგოსანს'' ახობაძესაც
შიგ ლექსი შეუხანხლია.
ვესტუმროთ იქაც ღიღინით
და მოვახსენოთ ძმურადა,
აუხსნათ, გავაგებინოთ
შემდეგი სათაურადა:
ვერ შველის საქმეს წამხდარსა
ყვირილი, მაღალ ფრაზობა,
მარტო ლამაზი სიტყვები,
უკუდო ,,დემოკრატობა''.

ანათემა.

სიმღერა.

—

არა, არა! კვლავ იმედით
ავაჟღერებ ჩანგის სიმებს,
და აღვიგზნებ ბრძოლის ცეცხლსა
გულში მიმქრალ-მინაძინებს.
ცას მივსწვდები, გადავფხრეწ
მწუხარების ბურუს რიდეს,
ჯოჯოხეთის თავს მოვევლები
გადავლახავ კიდით-კიდეს.

—

იქ თუ ისმის მებრძოლთ კვნესა,
იქ თუ ისმის მოთქმა დედის,
გულს კაეშან მოდებულის,
მომდურავის ტიალ-ბედის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერ შემაკრთობს იგიც, ვერა
და სასოს ვერ წარმიკვეთავს,
წინ მიიწევს მტკიცეთ გული,
მა შავ წყვდიადს აპობს, კვეთავს.

—

დე, აღელდეს ცხოვრების ზღვა,
ზვირთი ზვირთებს მიაჯახოს,
და უძლური ჩემი ნავი
სალ-კლდეს სტყორცნოს, მიანარცხოს.
არ შევდრკები, მაინც არა!
თითს ჩამოვკრავ შვების სიმებს
და აღვიგზნებ ბრძოლის ცეცხლსა
გულში მიმქრალ მინაძინებს.
ცას მივსწვდები, გადავაფხრეწ
მწუხარების ბურუს-რიდეს,
ჯოჯოხეთს თავს მოვევლები
და მოვლახავ კიდით-კიდეს.

ბ. პელაშვილი.

გოგიას იმედები.

(მესტვირული)

თუმც დაგვიზამთრდა და თოვლმა
დაჯორგა მთა და ბარიო,
ყინვამ შებოჭა ქვეყანა,
ღრიალებს მუდამ ქარიო;
მზემ დაგვიძვირა სხივები,
მეფობს სიცივე მწარიო,
შეწყდა იმედი მრავალთა,
მძვინვარებს შიშის ზარიო,—
მარა გოგია კი ამ დროს
სულ სხვა ვაჟ-კაცი არიო,
მას არ აშინებს ზამთრისა
ქარ-ბუქი, ნიავღვარიო;
ის დასტრიალებს ოჯახსა,
უჭირავს ნიჩაბ-ბარიო,
და მითი ებრძვის სტიქიას,—
გულ-კაჟა მეომარიო.
ამბობს: ასეთი ტანჯვის დღე
ხშირად მაქვს გადამხდარიო,
ასჯერ ვარ შიგან ნამყოფი,
გამომწვარ-გამომგბარიო,
და ეს გულს როგორ გამიტეხს,
ან რაა საშიშარიო?!.
დღეს თუ ქარ-ბუქობს ამინდი,
ხვალ დამიდგება დარიო,
ვიცი რომ გაზაფხულდება,
დრო მოვა გასახარიო,
ბოლოს ექმნება ჩემს ტანჯვას,
სულ მალე, საცა არიო,
მზე გაუნათებს ქვეყანას,
მომცინარ-მომღიმარიო,
გაიფურჩქნება ბუნება,
სუსხითა გადამჭკნარიო.
მეც ამისი მაქვს იმედი
მისთვის ვარ გულ-მაგარიო,
ვერ შემაშინებს ზამთარი,
ვერც მისი ნიაღვარიო...
და ვაი იმას, ვისაცა
არა აქვს რწმენა ამისო,
ის არ მოელის გაზაფხულს,
გულ გატეხილი დადისო,
თვალ ცრემლიანი, მშიშარა,
მხდალ კურდღელივით გარბისო,
ფუ, მაგისთანა ვაჟ-კაცებს...
სხვა რა მაქვს საიმათისო!..

ირაკლი.

შავი ქალაქი

ჭიათურა.

(ცხელ-ცხელი და ახალ-ახალი ამბები.)

ბ-ნთ პერსონაკსა და ოტრანს 100000 მანეთი პრემია დაუნიშნავთ იმ სტატისტიკისათვის, რომელიც გამოიანგარიშებს, თუ საიდან, ან როგორ იღებენ სარგებელს წვრილი მოიჯარადრები, როცა:

ა) არენდისას იხდიან ფუთზე 1 კაპეიკს,
ბ) გადმოსატანს „ „ 3 „
გ) დამუშავების ქირას $2^1/_2$ „

ე. ი. სულ $6^1/_2$ კაპეიკს და ბ-ნი პერსონაკ-ოტრანი-კი ყიდულობენ მათგან ფუთს 6 კაპეიკათ *).

* * *

რადგან განუწყვეტელი თოვლი, ქარ-ბუქი და ყინვები არ არის, ბ-ნმა პერსონაკმაც მოუკლო მუშებს (შუა ზამთარში) თითო დატვირთულ ვაგონზე ორი შაური შეშის ფული.

* * *

24 იანვარს, ადგილობრივმა ცრამატ. საზოგ. გამგეობამ „ცნობილი არტისტის" ხარაძის საბენეფისოდ წარმოადგინა ა. ტოლსტოის დრამა „პოსადნიკი" ნაქურთარგმანი ვ. გუნიასი (და-ძმა). როგორც მოსალოდნელი იყო, წარმოდგენა გადასარევათ ჩატარდა, თუმც, ბევრი არავინ გადარეულა. დასასრული არ ჰქონდა დამსწრე საზოგადოების აღ..... (თითონაც მიხვდებით!)

---

*) თუ სახეში არ მივიღებთ წვრილ მოიჯარადრეთა ეგრეთ წოდებულ გამქუცველობას, რაიცა მდგომარეობს: მემამულის, დამმუშავებელის, გადმომტანის და სხვათა შექუცვაში, სწორეთ აუხსნელი დარჩება ეს საარაკო გამოცანა. ჩემის აზრით ამას ჩინებულათ ახსნიდა ცხონებული ლუარსაბ თათქარიძე. დღეს-დღეობით პრემიას ან წერა-კითხვის მთავარ გამგეობის მდივანი კი მიიღებს და ან ცნობილი სტატისტიკოსი ფ. გოგიჩაიშვილი. ვნახოთ. ეშმაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* *
*

ადგილობრივ უმუშევრებში ხმებია გავრცელებული სენ. ვატაცის მეორეთ ჩამოსვლის შესახებ. ყველანი დიდის ალტაცებით ძოელიან ამ ხმების გამართლებას, რადგან იმედი აქვთ სამუშაოს გაჩენისა. საქმე იმაშია, რომ შავ ქვის მრეწველთა საბჭო მხოლოდ ასეთ შემთხვევებში ასუფთავებს ხოლმე სიბინძურით განთქმულ ჭიათურის ქუჩებს.

* *
*

პატივცემულ ბ-ნს პ. ჯ—ს მუშების კასიდან წაიმასქნილი 100 ქანქარის დაბრუნების ვადათ დაუნიშნავს 1985 **) წლის ზაფხული.



პოეტი.

(დუბროვსკისა)

მე აღარ ვუმღერ ბუნებისა მშვენიერებას,
აღარც სიყვარულს მომხიბვლელსა, მერწმუნეთ არა!
ჩემი სიმღერა ჰიმნი არი თავისუფლების,
რომელიც ხშირათ თქვენ გსმენიათ დ შორს მიმკვდარა.

*
* *

განა ძალმიძს მე შევსტრფიალო მშვენიერებას,
მხიარულ ჰანგზე ავაჟღერო ჩემი სიმები,
როდესაც სუფევს ჩემს გარშემო ტანჯვა-წამება,
როდესაც ვხედავ მიწას ალბობს მაშვრალთ ცრემლები?

*
* *

არა! ხან მოკლე, წუთიერი სიამოვნება,
მომხიბვლელ ჯადო ბუნებისგან გამოწვეული,
სამხიარულოთ ამ ტანჯულ გულს ვერ აატოკებს,
ტკბილ სიმღერასა არ წარმოშობს მშფოთვარე სული!

*
* *

სულ სხვა, შორეულ, ყველასათვის უცხო
სიმღერას
დაჩაგრულთათვის სულში ვმალავ ობოლ-ოხერი
და რა დავაწყობ სასიამო მათთვის ჰანგებზე
თავისუფლება-სიყვარულზე ვმღერი და ვმღერი.

ნ. ჩხიკვაძე.

**) ეს ვადა შემთხვევითი არაა! მას მჭიდრო კავშირი აქვს წლევანდელ განსაკუთრებულ მოვლენებთან. საქმე იმაშია, რომ ამ წელიწადს მეორეთ დაბრუნდება ცნობილი გალლეის კუდიანი ვარსკვლავი (კომეტა), რომელსაც ასე მოუთმენლათ მოველით დღეს.

მუშებს შეუძლიათ გულდამშვიდებით იყვნენ!

ეშმაკი.



ორი ეშმაკი.

მერე. განა მარტო ახლა?! ეს ყოველთვის ასეა: ,,ურემი რო გადაბრუნდება, გზა მასუკან გამოჩნდება‘‘.

პირვ.. ურემიც არის და ურემიც!

მეორე მაგიერში გზაც არის და გზაც! ახლა ვერის დაღმართის ჩათავებას მგონი საათი სჭირდება. ყოველ ნაბიჯზე სტვენა, ტორმუზი და შეჩერებაა. ქვიშას ხომ აყრიან და აყრიან.

პირვ. ამბობენ, ცოტა მოტყდა ბელგიელი რაინდი ამ ინციდენტის შემდეგაო, მართალია?

მეორე. მოდი და ნუ მოტყდები! ვინც ამ წინაზე შამპანიურებით დაიძმობილა, ერთი მოხდენილი კატასტროფით ყველანი ისევ გადაიძმობილა. ეს ვერაფერი სასიამოვნო ამბავია.

პირვ. ახლა ამ გადასაჯდომ ბილეთებზე აუტეხა თურმე უპრავამ ერთი ვაი-უშველებელი.

მორე. ვიიინ?

პირვ. ვინა და ქალაქის სამმართველომ.

მეორე. ისემც ღმერთი მაგათ ოჯახს ააშენებს.

პირვ. კი დამიჯერე! ბატაილს გეფიცები!

მეორე. არა, ხატისოვი არ მომიკვდეს.

პირვ გეფიცები, გეფიცები თვით გიორგი გვაზავას შარლატანიზმს, გოთუას პარტიის კაცს, რომ უჩივლეს სუდში და შაური გადაახდევინეს.

მეორე. ეს მართალია რომ უჩივლეს, მაგრამ ამ საჩივარის დროს უპრავას სალათას ძილით ეძინა. რამდენჯერ გაახსენეს: ხალხნო, თვალი გაახილეთ, ბატონი დირექტორი ზურგზე დაგასკუპდათო, მაგრამ შენც არ მომიკვდე, нуль вниманія!

პარგ. მაშ ვინ იყო შენი აზრით ის ოჯახ აშენებული?

მეორე. ვინა და ვიღაც ქანანოვი. იმას სოდნია, რომ ქალაქს ხელ-შეკრულობა აქვს ტრამვაისთან, რომლის ძალით დირექციას არ შეუძლია გადაოსაჯდომ ბილეთებზე წითელი ხაზები ჩხიკნოს. როცა გადასაჯდომ ბილეთს იყიდი, საითაც გინდა იქით გადაჯდები.

პარგ. აკი გითხარი! ეს ქანანოვი ქალაქის ვექილია. მას უპრავამ. თურმე, მიანდო ეს საქმე ეწარმოებია. იმანაც აწარმოვა და მოიგო...

მეორე. რაღაც არა მჯერა! რამდენი ხანია თფილისის **მოუსყვიდელი** პრესა დირექციის ოინებს ამეღვანებს, უპრავას უსაყვედურებს და თუ რამე გაკეთია, როგორ არ იტყოდა. სხვა რომ არა იყოს რა ალექსანდრ ივანიჩი გამოურევდა სადმე „რეჩში".

პარგ. თურმე ფასების მომატების წინააღმდეგაც ყოფილა ჩაწერილი იმ ხელ-შეკრულობაში.

მეორე. ვინ იცის, ვნახოთ ამის შესახებ რას იტყვის ის კურთხეული ქანანოვი. ჩვენ რამდენჯერ ვიკითხეთ, მაგრამ ქალაქის უპრავაში არავინ არაფერი არ იცის ამის შესახებ.

პარგ. კაცო, შენც დაიჯერებ ყველაფერს! რომ არც სკოდნოდათ ნუ თუ ერთხელ არ მოუხდებოდათ მუშტეიდიდან წყნეთის ქუჩაზე წასვლა?

მეორე. მერე?

პარგ. მერე და ისა, რომ, გაიგებდენ, თუ შაურის მაგივრათ როგორ გადაქუცავდენ რვა კაპეიკს.

მეორე. უკაცრავათ! უპრავის წევრები არც ერთ ჩეთს გაიღებდენ. პირ-იქით კანტროლიორებს უფასო ბილეთის მოთხოვასაც უშლიან: ჩვენ ხომ იცით ვინა ვართო!

პარგ. თუ კი ასეა, აბა საიდან ჭნდა შეეტყოთ, რომ ტრამვაის დირექტორი ასე მოურიდებლათ დაძვრება მოქალაქეთა ჯიბეებში.

მეორე. რასაკვირველია ის უფრო ადვილი გასაგებია, როდის აქვს მუსიო ბატაილს შამპანიურებით ვახშამი, მაგრამ ქალაქის მამებს როცა უჩვენებენ უსამართლობას, მაშინ მაინც უნდა მიაქციონ ყურადღება.

პარგ. ასეა თუ ისეა, მუსიო ბატაილს ცოტა რიხი დაეკარგა. გადასაჯდომ ბილეთის გაძველებურებაზე უკვე თანხმდება, თურმე.

მეორე. სამი საათის ვადით. ალბათ, როცა კონდუქტორი ბილეთს მოგცემს, ზედ დაწერს: თვეს, რიცხვს, საათსა და წუთებს, რომ მეორე კონდუქტორმა ბილეთის მიღების დროს გამოიანგარიშოს აღნიშნული ვადა.

პარგ მაშინ საჭირო იქნება ყველა კონდუქტორმა იტალიური ბუხგალტერია იცოდეს და თანაც საანგარიშო ჩოთქი ატაროს.

მეორე. რაღა მაინცა და მაინც იტალიური, განა ბელგიური კი არ იკმარებს?..

პარგ. საზოგადოთ დიდი ადმინისტრატორი გამოდგა ეს ბატაილი. ძლიერ აადვილებს კონდუქტორების სამუშაოს.

მეორე. რეფორმატორია! თავდაპირველათ ბილეთებს ახვრეტინებდა, შემდეგ მეორე გვერდზე რაღაცებს ახატვინებდა, ახლა წითელ ხაზებს აკეთებინებს და ბოლოს დაუბრუნდება იმას, საიდანაც დაიწყო.

პარგ. არა, ზოგიერთი დაუფასებელი ცვლილება რომ შემოიღო, ამის უარყოფა ყოვლად შეუძლებელია.

მეორე მაგალითად?

პარგ მაგალითად ეს წითელი და ლურჯი ლენტები ქუდებზე. მარტო ეს რათა ღირს!

მეორე. დიახ, სწორეთ ასეთმა „ღრმა" რეფორმებმა მოუმზადეს ბ ნ დირექტორს დამსახურებული გვირგვინი დიდებისა.

პარგ. უკეთ ვსთქვათ დაამზადებიეს გვირგვინები. არა?



სიზმარ-ცხადი.

—

ის ის იყო, განთიადსა
ფრთები უნდა გაეშალა,
გაჰფენოდა არე-მარეს,
სასიცოცხლო ეგრძნო ძალა;
გაზაფხულსა საოკრწილოთ
არე უნდა მოეკაზმა,
ზედ ალმასებრ დასაჭარგათ
ცას ეფრქვია აიაზმა;
ბულბულს ცეცხლი სიყვარულის
ედებოდა მძლავრათ გულზე,
სურდა, მის წინ დამწვარიყო,
ვინც უტკბესი ჰყავდა სულზე...
ის ის იყო, თვისი ქნარი
მგოსანს უნდა მოემართა,
სევდასა და ფიქრთა ღრუბელთ
გადასცემდა ნიავ-ქართა.
ის ის იყო ნაკადულმა
აუმღერა კილო ჩხრიალს
და ნიავმაც მოუხშირა
ფოთოლ-ბალახებზე შრიალს,—
რომ უცებ მთის ჯურღმულიდან
მან ამოჰყო შავი თავი,

იყო ტლანქი, მეტის-მეტად
საზარელი სანახავი!
ფრთები ცისკენ აეწია,
რომ დაეხშო მზისა სხივი
და ქვეშეთში ჩაეთესა
სიბნელე და სუსხი ცივი.
გაირინდა არე მარე,
გაითოშა მინდორ ველი
და გაისმა ყოველ მხარეს
ყორნების ხმა საზარელი...
ვარდს ბულბული გაეყარა,
ნიავმა ხმა ჩაიმინდა,
და მგოსანიც, ამის მოწმე,
გულსაკლავათ აქვითინდა.

ნ. ზომლეთელი.



გურული სცენა.

საკალანდო სადღეგრძელო.

მომილოცავს წარსული ახალ-წელიწადი, ღმერთმა მშვიდობით გაგითენოს, ბევრი დიესარი ათი-ათას უკლისთ, ყველი რომ კარგათ გყოლოდეს. ღმერთმა გიცოცხლოს და ნუ მოგიშალოს ჩვენი ვერძის ნაჩანიკის თავი. ააშენა ღმერთმა, ნამეტარა კაი კაცია, პაწეს კი შეგაგინებს, მარა ქე მაინც არ შეგაპაღურებს. სხვა თუ ოთხში ამოგიღებს, მიცვალებულს საფლავში არ დაიყენებს და ცოცხალს სახლში ყრის ძვალებს ამოგართმევს, მეცელში ტყლიპს ჩაგიტკეცს, არც იმას ეტყვის რამეს—პაწეი კიდეც იმსიქს, ან კი რა გასამტყუნარია—შენი მეზობელი თუ არ შეგიკოდვებს, მას რა ენაღვლება!

ამ მეორე ჭიქით ადღენძღელოს გურული დელიყანდი ბიჭები—ბრაწი მეგრელ სტრაფნიკებს, გამოგიყვანეს სოფლიდგან—ამ ჩვენმა ბიჭებმა ცხრაი მტკავილა მეტი გუუბტენ, ცემა უკეთესი იციან, გინება და დაჭირვა.

ამ მესამე ჭიქით კი მინდოდა სადღენძღელო დამელია, მარა იმფერი რაცხა გამახსენდა, რომ ან შეიძლება შესანდობარი არ დავლია. ღმერთო და წმინდაო ბასილ, დღეის დღეს გაზწილება არ შეიძლება, სხვა დღეს თუ არ გეყურებოდა ჩემი, დღეს ბედობა დღეს მაინც გეიგონე და მისი სული შეიწყალე და საუკუნო ნეტარება მიეცი, იმას ვინცხამ ჩემი ცოლის ნამზითი ნოხი, ფარდაგი, კაპანანი, თოხი და წალდი წეიღო კანცელარიაზე და დრამა ფულში გამიყიდა. მე ამდალი კადამ გამაბრიყვეს. კადამ დამაჯერეს, ხუცები არ ვარგაო, ვარგა არა სულის კაცები მაგინია თურმე—მეც შივეცოდე და ჩემი ცოლიც, ნოხს და ფარდაგს გარეკა და ბერტყა უნდოდა, კაპანანი მოსაკალავი იყო—სა იყო ახლა იმის ფარა—თოხი აღარ მაქ და წალდი, თუ მეგაწეიღ, გამარტებაზე მუშაობა აღარ დამეპირდება, წამოვწობი ჩრდილში და ძილით გავდღები. მეც, მარა მასაც აგერ შეეიტყობ, წრეულს რა ჩემი მუცლის ტკივილს წეიღებს. აბა ასე, არე კაცმა მიიკლოთ, ღმერთმა აცხონოს ხუცები.

ნიორი.

13 დეკემბრიდან თფილის გამოდის სალიტერატურო ჟურნალი

„სხივი“

მიიღება ხელის მოწერა 1910 წ. თფილისში: ი. კიდაძის სტამბაში ვნდოიმინოვის ქუჩა № 6 და ვ. ვაჟდიანთან წიგნის მაღაზია „ალდინ“-ში „ბრაზნი ქუჩა № 9 პროვინციაში—ქ თასში—წიგნის მაღაზია—„ამერეთში“ ის. ჯვალარაძესთან. სამტრედიაში რვ. ბზ. შჯიფში—ვ. მხარაძესთან ოზურგეთში—მ. თალაკვაძესთან; ზეაოურაში—ვ. ხურაძესთან ჩოხატაურში—ს. თავართქილაძესთან, ხიდისთავში—ე. დომთოთაძესთან და სხვა.

წერილები და ფული ამ ადრესით უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ Типографію „Печатное дѣло“ Беляминовская № 6 **Поліевкту Ант. Калан-дадзе.**

იყიდება „ შრომის“ სტამბაში

და აგრეთვე გაეგზავნებათ მსურველთ:

1) „ეშმაკის მათრახი“ 1907 წლისა 13 ნომერი ერთად შეკერილი. . . . 1 მ. 30 კ.

2) „ეშმაკის მათრახი“ და „მათრახი“ 1908 წლისა, 35 ნომერი ერთად შეკერილი . . . . . 2 — 50

3) „ალმანახები“: აკაკი, ეშმაკი, ჯოჯოხეთი, ეშმ. მათრ., და ტარტაროზი, —სულ 10 ნომერი ერთად შეკრული . — 50

4) „ქრისტინე“, ოთხ მოქმედებიანი დრამა ე. ნინოშვილის მოთხრობიდან ბ. ირეთელისა . . . . . — 20

ვინც პროვინციებიდან გამოიწერს და ღირებულ ფასს გამოგზავნის, ფოსტის გასაგზავნი ფული არ გადახდება.

მსურველმა უნდა მიმართოს „შრომის“ სტამბაში, ვასო ბოლქვაძეს. ფულის მაგივრად ფოსტის მარკების გამოგზავნაც შეიძლება.



ქართველი „პატრიოტის“ ოჯახში.

— პაპა! ზაცემ ტი სმოტლის ვ პეცკუ? პაზალ?

— ნეტ დეტორკა! „ზაკავკაზიე პიშეტ, ჩტო კომეტა ლუჩშე ვიდნა ჩერეზ ტრუბუ. ნო...

სამტრედიის საფოსტო განყოფილება.

პირველი. რისთვის მოსულხარ, ძმობილო?

მეორე. შვიდ კაპიკიანი მარკა მინდა და შვიდი საათია აქა ვდგევარ.

შ ა რ ა დ ა.

—

ზოგჯერ კედლებსა უდებენ
მძიმეს და უზარმაზარსა,
ოთხკუთხად განაკვერთხავსა
თავ ბოლო გადანაჭარსა..
ზოგჯერ, ზოგიერთი გვამებსა
თვალშიაც ჩაეჭიერება...
(ეს იმათ, ვისაც თავისი
ნაკლი არ დაეტირება)
აი პირველი ნაწილი
ეშმაკურ ამოცანისა...
(ასმეც დაიქცეს ოჯახი
მისი აქ გამომგზავნისა!)
შემდეგ საჭირო გაგვიხდა
ქორონიკონი ცალპირი,
ექვსჯერ ასეულს დახატავს
ბევრი არ უნდა ჯახირი.
მას მოსდევს ველურ ცხოველთა
ორგანო, მოსახმარელი.
(ხშირათ გაიხმარს ყმაწვილიც
პირისა დამბანელი)
ქვემოთ გვჭირია ფრინველი
გარეული და მცურავი..
(უკანა ასოს მოწყვეტა
არ დარჩეს დასამდურავი)
ფრინველსა ამას დაერთოს
ყვავილი ადრე ვლენილი
უყულმა დანაწ�rავი,
ბუჩქის ძირს გადაფენილი.
შემდეგ და საბოლოოთა,
(თავს შემოიდგით ხელები,
გულმოდგინებით მონახეთ
რკინისა ფეხსაცმელები.
მოსწყვიტეთ ასო პირველი
და რაც გადარჩეს ბოლოსა,
ადინშნულ წესით და რიგით
სხვებს უნდა მიეყოლოსა.
შესდგება, დაიხატება,
აქ გვამი თქვენგან ცნობილი,
მუშების «მორჯულებაში»
გამობრძმედ გამოწრთობილი!
ძველათ თამამი, შემტევი,
დღეს ლაგამ ამოდობილი,
ჩვენი ,,ქალაქის მამების''
მეგობარი და ძმობილი.
დღეს დანაწunrი, გუშინ კი
რეფორმატორად ხმობილი,
მოსყიდველი პრესისგან
თაობაშივე გმობილი,
(დეპეშაც გაგეგონებათ
ომისთვის გამოცხობილი)
ამ ქვეყნიური არ არის,
უცხოეთს აღზრდილ-ზეშობილ.
პურიშკევიჩის არ იყოს
პირს საყვირ გამორეკობილი
რა გავაგრძელოთ, გმირია,
თფილისში კარგათ ცნობილი.
თუ ვინ ვერ ახსნა, ცხადია
ტკუა აქვს გადადებილი.
მაგრამ მგონია სულყველას
გექნებათ გამოცნობილი.

კოლო.



ეპ სტოლე გურიიდან.

(საკითხავი ბერგელი)

„ხელში ჩიკყრია ბრძანება
წყველი ეშმაკისთო,
ანგარიშს მიხოვს—ვაახლებ
ეს ჩვენი გურიისთო“!

ბიძია ჩემო ეშმაკო!

მოგალოცავ წარსულ ახალ წელს! გისურვებ, ეს წელიც შენთვის ისეთი ნაყოფიერი და მოსავლიანი ყოფილიყოს, როგორიც წარსული იყო. გისურვებ... მაგრამ შენც იცი კარგათ, მე შენთვის რაცა მსურს. მაშ დავიწყოთ პირდაპირ.

დავ წყოთ ოჭურგეთიდან. ის ისევ იქ არის. მოგეხსენებ და გაგეგონება ძველი ანდაზა. ტკეიანისაგან თქმული: „ქვეყანა ვნახე უძაღლო და შიგ ,,ჯოხოთ გაეირეო?“ რომ მოგლო კიდით კიდემდე ზუგრი ქვეყნერობისა, ამდენ ძაღლებს მგონი ერთად ერესად ვერ შეხვდები. მერე რა ჯიშის გინდა, რომ აქ არ იყოს: «შემპარავი», «ოკეს ქვეშ მებენარი», „წუწკი“, „დრუნჩა“, „მაბეზღარი“, «აბეზარი», „მეყფარი“, „წუწკნა“, „ღლოკვი“, «მსლეგეპავი», „კრეტია“, «ლრეკია», «ბზეილა», «ტყეილა», „ყმეილა“, «ქურდა», «ხურდა», „მურდა“, ერთი ,,ტყეილი ომდენი სხვა და სხვა ჯიშის და «ნოგრიოის» არის, რომ მე კი არა მათი ჩამოთვლა კვირიკეთელ ნადრაგუნეგ ტარტარენსაც კი გაუკვირდება. ეს ხომ ასეა, მაგრამ ეგ საწყალები იმდენზე დაბეზავებულ დამონებულნი არიან, რომ მათი უჯოხოთ მოგერება მხოლოთ შინაურს უტირს, თორემ გარეშეები მათ უჯოხოთაც გმირულათ შეხვდებიან და ზოგს აყმეილებენ, ზოგს კიდევ აწუწუნებენ.

«ჭუტი, ჭუტი, შე საბალო მურია!»
ნუ გაშინებს, ეეცხოს პირზე მურია.

მართალია ეშმაკი გულთამხილავი ხარ და „არა არისრა დაფარული შენს წინაშე“, მაგრამ დიდათ შეცდები რომ იფიქრო, ესენი წინათაც ასე ფრთხალები ყოფილიყვენ. სრულებითაც არა! იყო დრო, ამათაც შეეძლოთ «აყმეილ-აწყაგწყაგება» როცა მათ ტუჩა რამეს შეეკერვდა. მეელსაც მია-

შურებდნენ ხოლმე, მაგრამ მას შემდეგ, რაც მგელმა ტურებს ჯოხი ‘ეკურთხა და ტაქტიკა დაუდასტურა, ეს მყეფარებიც დაბეკვინდენ და დამშვიდდენ და ტურებმა ჯოხი გადაადგეს და თავიანთ მყეფარებს მარტო „ციც“-ით ამუნჯებენ.

რა გინდა, რომ ახლა აქ აკრძალული ხილი არ იყოს. იმ დროს უნდა გაიცინო, როცა მას ეცინება, იმ დროს უნდა იტირო, როცა ის ტირილის გუნებაზეა; ის უნდა წაიკითხო, რაც მას მოსწონს; იმასთან უნდა გაიარო, ვინც მას ეპატიჟება; იმას უნდა ასვა და აპამო, ვინც მისი სატრფიალოა. იმ ფერის ტანისამოსი უნდა ჩაიცვა, რაფერიც მას უყვარს; შვილი მას უნდა ეიბპარო აღსაზრდელად, ვინც მისი მეგობარ-დამბმარეა! ასე რომ აქ...

ძაღე.

წერილები რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო!

ვიქ. ლონტი სამედიატორო სამართალში იწვევდა ბ. ტლინკაძეს და ერთ-ერთ მედიატორეთ თავის მხრით მე მასახელებდა. თუმ ეა დარწმუნებული ვიყავი, რომ თუ სამედ. სასამართლო ისეთ განაჩენს არ გამოიტანდა, როგორიც სურს ბ. ტლინკაძეს, არც მე, არც სხვა ჩრ ქ მოცხ ‘ულთ არ დამტოვებდა. მარა იმას კი ვერ წარმოვიდგენენი, თუ ჯერ კიდევ მედიატორების მიერ თავმჯდომარის არჩევამდე ბ. ტლინკაძე დაიწყებდა ჭორების გავრცელ ‘ით ჩემი სახელის ტალახში მოსვრას. ვინაიდან ბ. ტლინკაძემ ეს ჩაიდინა და მით წინ და წინვე სახელი გაუტეხა სამედიატორო სასამართლოს გადწყვეტილებას, ამიტომ სამედ. სასამარ. წევრობაზე უარს ვაცხადებ. ვსთხოვ ვიქ. ლონტს ჩემ მაგიერ სხვა აირჩიოს მედიატორეთ და მით დამიფაროს მე მოსალოდნელ მომავალ შეურაცხყოფისაგან.

გ. ი.

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ამ წერილ ‘ს ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივ-ცემულ ჟურნალ „მ.თრახ-ალამურ“ში მე, მეოცდა ხუთეა ნომერ“ში გამოვიწვევ სამედიატორო სამართალში და თითქმის თანახმობას მიცხადებდა: ოლონდაც თითონ აღ-ცხადდება და რწმუნებულს ასახელებდა მაგრამ მე ირწმუნებულს არ გაუნაღდიეარ და არც-მაქს იმასთან საქმეი ოლონ დაც მე, გ-ლი. უნდა ეამამყოს თავათ დღიან ამ წერილის გ მოცხადებისა ვადას ვაძლევ სამ-დღესა სადაც ამ სამ დღეში უნდა ბოლო მეღოს ამ ჩვენს საქმესა და უკვე თუ არ გამოცხადდა მაშინ მე უფლებას ვიტოვებ, რომ ყოველიფერივ უწოდო. გ-ლი. სა . კოჯდ. სანდრო ჰაპინაშვილი.

რედაქციისაგან:

ეს წერილი იბეჭდება უცვლელათ. აქედან ცხადია ბ ნს სანდრო ჰაპინაშვილს აინტერესებს ჩვენი კორესპოდენტის („გ—ლი“) ვინაობის გაგება და არა იმ ბრალდების უარყოფა, რომელიც მის წინააღმდეგ იყო მოყვანილი. ამიტომ, ნურას უკაცრავათ ბ-ნ ჰაპინაშვილთან, თუ „გლ—ი“ თავის ვინაობას ვერ აცნობებს.

ეშმაკის შენიშვნა. კორესპოდენტის ვინაობის თქმა არც უნდა ეხალისებოდეს ბ-ნ ჰაპინაშვილს, „ბრალდებულ“ ცნობას შეიძლება სხვა „ირამაც“ მოყვეს და ეს სხვა რამე ერთი ზედმეტი საბუთი იქნება მის წინა ღლდეგ...

მათრახის ფოსტა.

ფოთი. მიმქრალს. გაქრა.

ხორაბოული. ახატს. თქვენ იწერეთით საყვედურს სკოლის ზედამხედველზე და იმას კი არ აღნიშნავთ, რა დანაშაული მიუძღვის.

ხონი. ბლეგეიშვილს. თქვენი მუსტვირული ვერ დაიბეჭდება ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო.

თფილისი. ვ. კ—ს. რედაქციამ დიდის სიამოვნებით წაიკითხა თქვენი ნაწარმოები და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სწორეთ თქვენს არსებაში მოუყრია თავი მთელი ქვეყნის მუზებს და არ არის არავითარი საბუთი ვიფიქროთ, რომ ეს პატიცემული მდგმურები როდისმე მოისურვებენ, შეიცვალონ თავისი წინა ანბანი და „მანიკან“ „ბანზე“ გადავიდენ.

ამ მოსაზრების დასასურათებლათ ნებას ვაძლევთ ჩვენს თავს მივიყვანოთ ერთი, მხოლოდ ერთი კუპლეტი თქვენი პოემიდან:

„თავზე გხურავს კატელოკი,
ვინ თან შეკარი ბლოკი...
გშვენის როგორც ბოლოკი
ხომ კი, ხომ კი, ხომ კი“.

დარწმუნებული ვარ თქვენც სასებით დაეთანხმებით ჩვენს მოსაზრებას. ხომ კი, ხომ კი, ხომ კი?

მერვა. დაჩხირს. თქვენი „ბარადა“ ვერავინ გაიგო, რადგან მეგრული მცოდნე რედაქციაში არავინ აღმოჩნდა.

საპხოთ. (გურია) ბ. ლომძეს. უმჯობესია „მეჩეკმეეტსა და სოფლის მედუქნეებს“ თქვენდამი დიდი პატივისცემა სხვა გზით გადაუხადოთ. ასეთი ლექსის დაბეჭდვა არაფერი ეღირება, ხოლო დაწერა კი, ერთი მათრახის კუდი.

ევლახი. ვიკიძეს. თქვენ შეიძლება იცით, მაგრამ საპიროა ჩვენც გაგვაგებინოთ: რის დაწერა ეხუროდათ.

მათხოლჯი. „არწივს“. რედაქციამ უნდა იცოდეს საქმის გარემოება.

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ

კ. პ. კანდელაკისა

კოლპერაცია

თეორია, ისტორია და პრაქტიკა

წიგნის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ნაღდფულზე შემდეგის ადრესით: *Тифлисъ, Типографія Шрома В. К. Болквадзе.*

ვინც არა ნაკლებ 50 ცალისა გამოიწერს, დაეთმობა 25%.

ვისაც სურს პროვინციებიდან თითო ცალი გაიწეროს, შეუძლია გამოგზავნოს ფ-დი შაურის მარკები და ამ ფაშსი მიიღებს თავის ადრესზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელიწადი 1910 წლისათვის ბეჭდვ.

მიიღება ხელის მოწერა

ყოველ-კვირეულ იუმორისტულ ჟურნალზე

ვინც ამ თავიდან გამოიწერს ჟურნალს და მთელი წლის ფასს შემოიტანს ავევისტოს პირველ რიცხვებში ჟურნალთან ერთათ

პრემიათ გაეგზავნება

ახალი კრებული

ამ კრებულში მოთავსებული იქნება: დეკლამაცია, მოთხრობები, იუმორისტული ნაწარმოებნი და სხვა. როგორც ორკანდაური ისე ნათარგმნი.

წიგნი 300 გვერდიანი იქნება, მოზრდილი ფორმატის და ელირება 1 მ.

მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ახალგაზდა მწერლები და პოეტები.

ჟურნალის ფასი მთელი წლის **ხარჯად უნდა აუცილებლათ შემოიტანოს პირველ ივნისამდე.** ვინც ამ დრომდე სრულად ვერ შემოიტანს პრემიას ვერ მიიღებს. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილათ: პირველათ 2 მ. 50 კ. დანარჩენი 2 მ. 50 კ. პირველ ივნისამდე.

1910 წლის 1 იანვრიდან ჟურნ. „მათრახ“ და სალამური“ გამოვა იმავ შინაარსით. რედაქცია ეცდება გაუმჯობესოს ჟურნალი. მონაწილეობას მიიღებენ: ახიანი, ბლიეკბაძე, კანჯის-ჯარელი, გშმაკი, გოდდემარი, ზომდგომელი, თურდოს ბარელი, იასამანი, კანტა, ლენსუმელი, მალაქიაშვილი, პატნა, ტ. რამიშვილი. რუხაძე, რუშაკელი, ტუმსიაშვილი, ფონ-ტეფო, ქუჩიშვილი, შხანგოლა და სხვანი.

ჟურნალი წლიურათ ღირს 5 მ. თვიურათ 50 კ. ცალკე ნომერი 10 კ

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ Типографія Т-ва „Шрома“ Василію Карамановичу Болквадзе.

ელექტრო-მბეჭდავი ამბ. „შრომა“ რუს. ქ. № 3. რედაქტორ-გამომცემელი ე. ტურაბელი ამ.